

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მიხედვით, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ღია კენჭისყრის წესით. გამარჯვებულად ცხადდება პრეტენდენტი, რომელიც მიიღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე მეტს.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე მისი შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს. შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში. კომისია საჩივრებს განიხილავს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და საბოლოო შედეგებს შემაჯამებელი ოქმის სახით უგზავნის დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობს საჩივრის წარმდგენი პირი (პრეტენდენტი) და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტერესზე შესაძლოა პირდაპირი და უშუალო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ;
- ბ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ დამტკიცებისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ;
- გ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ.

კონკურსი დასრულებულად ითვლება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცხადდება საჯაროდ.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს დადგენილება №31/2012 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება/გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.

2. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.

3. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ღია კენჭისყრის წესით. გამარჯვებულად ცხადდება პრეტენდენტი, რომელიც მიიღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე მეტს.

3. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ პრეტენდენტებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე და კომისიის თითოეული წევრი ხმას აძლევს თითოეულ პრეტენდენტს. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან ორზე მეტმა პრეტენდენტმა დააგროვა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის ხმები, გამარჯვებულად ჩაითვლება პრეტენდენტი, რომელმაც მიიღო დადებითი ხმების

მეტი ოდენობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, რომელშიც კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პრეტენდენტს. ამ შემთხვევაშიც ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტ/ებ/ის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით. შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე მისი შედგენის მომდევნო სამუშაო დღეს. შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში. კომისია საჩივრებს განიხილავს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და საბოლოო შედეგებს შემაჯამებელი ოქმის სახით უგზავნის დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს.

6. კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობს საჩივრის წარმდგენი პირი (პრეტენდენტი) და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტერესზე შესაძლოა პირდაპირი და უშაულო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა.

7. შემაჯამებელ ოქმს აკადემიური საბჭოს სხდომაზე წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მიერ არჩეული მომხსენებელი.

8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ;

ბ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ დამტკიცებისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ;

გ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ.

9. კონკურსი დასრულებულად ითვლება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

10. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცხადდება საჯაროდ.

11. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.